



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 103

2011 წლის 16 აგვისტო
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2011 წელს განსახორციელებელ სპორტულ, კულტურულ და ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის N145 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №145 განკარგულების №1 დანართის შესაბამისად დამტკიცებულ „სპორტულ ღონისძიებათა პროგრამაში“ კერძოდ, პროგრამას დაემატოს სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების ჩატარებისა და ორგანიზებისათვის საჭირო თანხა 1000 ლარი, 3724 ლარი გაიზარდოს 4724 ლარამდე.
„სპორტის სფეროში განსახორციელებელ პროგრამის ქვეპროგრამაში“, კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტი 31 900 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 38 400 ლარით, კერძოდ დაემატოს ფედერაციაში საწევროს შესატანი თანხა 4000 ლარი და ბუჯეტის შესაძენად 2500 ლარი.
2. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №145 განკარგულების №2 დანართის შესაბამისად დამტკიცებულ „კულტურის სფეროში განსახორციელებელ პროგრამაში“ ბიუჯეტი გაიზარდოს 15 000 ლარით, ნაცვლად 32 000 ლარისა პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვროს 47 000 ლარით. კერძოდ დაემატოს მუხლი შიდა ქართლის დღეების აღნიშვნის ორგანიზება, რომლისთვისაც საჭიროა 5000 ლარი. ხოლო 10000 ლარი დაემატოს „ხაშური – ოქროს შემოდგომა - 2011-ის“ ღონისძიების ორგანიზებას. აგრეთვე მოხდეს მუხლიდან მუხლში აუთოვისებელი თანხების გადატანა.
3. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №145 განკარგულების №3 დანართის შესაბამისად დამტკიცებულ „ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამაში“ საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამა „პატრიოტის“ მუხლიდან 3500 ლარი გადავიდეს „კულტურის სფეროში განსახორციელებელ პროგრამის“ „ხაშური – ოქროს შემოდგომა - 2011-ის“ მუხლში და „ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამის“ ბიუჯეტი ნაცვლად 15 500 ლარისა განისაზღვროს 12 000 ლარით
4. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულების №1 და №2 დანართები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
5. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მის შესაბამის სამსახურებს.
6. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: კოსტავას ქ. №13) ერთი თვის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

როსტომ გრიგალაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონს, შემუშავებულია მისი აღსრულების მიზნით და მიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) მოვლას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობას.

მუხლი 2. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელებისათვის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯების მოცულობაა – 9000 ლარი.

	დასახლება	სულ (თანხა ლარებში)
	ტერიტორიების და მათზე განლაგებული ნაგებობების სადღეღამისო დაცვის უზრუნველყოფა	4600
	ტერიტორიების და მათზე განთავსებული ნაგებობების და მოწყობილობების შენახვისათვის აუცილებელი მიმდინარე ხარჯები	4400
		სულ 9000 ლარი

მუხლი 3. პროგრამის გავრცელების ობიექტები

1. დღეის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედია შემდეგი სპორტული მოედნები ქ. ხაშურში – ტაბიძის ქუჩაზე დასვენებისა და კულტურის ბაღში მდებარე ჩოგბურთის კორტი და მინი ფეხბურთის მოედანი, დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული კომპლექსი, სოფელ ქვიშეთში მდებარე ღია სპორტული სათამაშო მოედანი.

მუხლი 4. პროგრამის მოქმედების ვადა

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2011 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრამდე.

მუხლი 5. პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამა ხარჯების გათვალისწინებით განხორციელდება მოვლა-შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები, რომლის შესყიდვა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რაც თავისმხრივ გულისხმობს:

ა) სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებას;

მუხლი 6. სხვა დებულებები

იმის გათვალისწინებით რომ ქ. ხაშურში ტაბიძის ქუჩა №21-ში მიმდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირება განუყოფელია მიმდებარე პარკების დანიშნულებასთან და განიხილება მიმდებარე კულტურისა და დასვენების პარკებთან მთლიანობაში, პროგრამის გავრცელების გაგრძელებამ უნდა მოიცვას ზემოთ აღნიშნული პარკების მთელი ტერიტორიები.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდა ფეხბურთელთა საქართველოსა და რეგიონალური დონის შეჯიბრებაში მონაწილეობის მაქსიმალური მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა სპორტსმენტა შემდგომ დაოსტატებას და მაღალი სპორტული შედეგების მიღწევას.

არსებული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და „საქართველოს კანონი სპორტის შესახებ“

პროგრამის არსი

ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო თანხით პროგრამის დაფინანსებას.

პროგრამის ხანგრძლივობა.

პროგრამის მოქმედების ვადაა 2011 წლის 31 დეკემბრამდე

პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 38 400 ლარი. რაც მოიცავს მონაწილეთა შრომის ანაზღაურებას, ფეხბურთელებზე მოგებულ თამაშებზე გასაცემი პრემია, ინვენტარს, ფედერაციაში საწევრო შესატანს, სტადიონის კომუნალური მომსახურეობა, მედიკამენტებს, სამივლინებო ხარჯებს კალენდარულ თამაშებზე.

პროგრამის სავარაუდო შედეგი.

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ხაშურის ახალგაზრდა სპორტსმენტა შემდგომ დაოსტატებას და სპორტული გამოცდილების შექენას, ახალგაზრდა თაობის სწორ და ჯანსაღ განვითარებას, ფეხბურთის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენტა წარმოჩენას.

**ხაშურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის აღორძინებისა და
განვითარების ხელშეწყობის პროგრამის
ხარჯთაღრიცხვა**

№	დასახელება	პროგრამით გათვალისწინებული პერსონალის რიცხოვნობა	ანაზღაურება თვეში	ანაზღაურება სულ
1	გუნდის უფროსი	1	200	2000
2	მთ. მწვრთნელი	1	200	2000
3	მწვრთნელი(ფიზ. მომ)	1	180	1800
4	მწვრთნელი	1	180	1800
5	ადმინისტრატორი	1	100	1000
6	მუშა	1	70	700
	სულ	6	930	9300

№	ღონისძიების დასახელება	რაოდენობა	ხარჯი (ერთ თამაშზე)	ხარჯი (სულ)
1	საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (გასვლითი მატჩები)	20	280	5600
			სულ	5600

სპორტული ინვენტარი

№	ინვენტარის დასახელება	რაოდენობა	ფასი ერთეულის	საერთო ღირებულება
1	ბუცი	40	128.75	5150
2	მეკარის ფორმა	2	140	280
3	სპორტულები	20	50	1000
4	კარის ბაღე	2	120	240
5	ბურთი	5	70	350
			სულ	7020

სხვადასხვა დასახელების მედიკამენტები 300 ლარი

ფედერაციაში საწევრო შესატანი 8000 ლარი

სტადიონის მომსახურების 800 ლარი.

მოგებულ თამაშზე ფეხბურთელებისათვის პრემიის სახით გაცემული თანხა 7380 ლარი.

სულ 38 400 ლარი

საქართველოს მასშტაბით ჩასატარებელი სპორტული
ღონისძიებები
(2011 წელი)

ქართული ჭიდაობა		
ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
თბილისი	საქართველოს პირადი პირველობა (1995-96 წ.დ.)	150
თბილისი	საქართველოს პირადი პირველობა (1993-94 წ.დ.)	250
გორი	საქართველოს პირადი პირველობა (აღმოსავლეთის ზონა)	130
თბილისი	სოფ.სპორტის. გუნდური პირველობა.რეგ.შორის.	180
ბათუმი	საქ. პირველობა (ახალგაზრდები)	300
თბილისი	საქ.პირველობა (1997-98წ)	190
	სულ	1200

ძიუდო		
ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
გორი	საქ. პირველობა ჭაბუკებში (რეგ. პირველობა შესარჩევი)	120
თბილისი	საქ. პირველობა (ჭაბუკები)	130
გორი	12 წლამდე შესარჩევი (რეგ.პირველობა)	120
თბილისი	საქ.პირველობა ჭაბუკები	150
თბილისი	საქ. პირადი პირველობა (14 წლამდე)	300
თბილისი	საქ. პირველობა (23 წლამდე)	150
თბილისი	საქ. პირველობა (1998-99წ)	300
ლაგოდეხი	რესპუბლიკური ტურნირი (1994-95წ)	426
საჩხერე	რესპუბლიკური ცენტრი (1994-95წ)	200
გორი	რეგ. პირველობა (1996-97წ)	120

თბილისი	საქ. ფინანსური პირველობა (1996-97წ)	130
თბილისი	საქ. ირველობა (1998-99წ)	130
	სულ	2276

სამბო		
ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
თბილისი	საქრთველოს პირველობა (1993-94წ ჭაბუკები.)	360
თბილისი	საქრთველოს პირველობა (ახალგაზრდები 1991-92 წ.დ.)	320
თბილისი	საქ. პირველობა (1996-97წ. ჭაბუკები)	360
თბილისი	საქ. პირველობა (1995-96წ. ჭაბუკები)	360
	სულ	1400

თავისუფალი ჭიდაობა		
ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
თბილისი	ზ. ბერიაშვილის სახ. საერთაშორისო ტურნირი (ჭაბუკები)	460
თბილისი	ომონიძის სახ. საერთ. ტურნირი (ჭაბუკები)	460
თბილისი	საქრთველოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები)	360
თბილისი	ლ. ხაბელოვის სახ. ტურნირი	460
ბათუმი	საერთაშორისო ტურნირი (ახალგაზრდული)	780
ამბროლაური	სალარიძის სახ. ტურნირი	780
თბილისი	ციმაკურიძის სახ. ტურნირი	460

თბილისი	საქ. პირველობა (დიდები)	300
თბილისი	საქ. ირველობა (ახალგაზრდები)	300
საჩხერე	ზ. თურმანიძის სახ. ტურნირი	360
საგარეჯო	დ. ასლამაზაშვილის სახ ტურნირი	780
გორი	რეგ. პირველობა (ჭაბუკები)	200
	სულ	5700

კალათბურთი		
ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
ბორჯომი	რესპ. ტურნირი (გოგონები, ბიჭები)	80
კასპი	რეგიონის პირველობა (ჭაბუკები)	100
ამბროლაური	კობახიძის სახ. ტურნირი	300
თბილისი	საქ. ასაკობრივი ჩემპიონატი (14-20წ)	500
თელავი	საქ. რესპუბლიკური ტურნირი (ჭაბუკები)	320
	სულ	1300

ჭადრაკი		
ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
გორი	რეგ. პირველობა (10წ. ასაკი ჭაბუკები)	80
გორი	რეგ. პირველობა (10წ. ასაკის გოგონები)	80
თბილისი	საქ. პირველობა (10წ. გოგოები, ბიჭები)	440
გორი	რეგ. პირველობა (12წ. გოგოები, ბიჭები)	160
თბილისი	საქ. პირველობა (12წ. გოგოები, ბიჭები)	440
	სულ	1200

ძალოსნობა		
ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
ქუთაისი	საქ. პირველობა ახალგაზ	200
ქუთაისი	საქ. პირველობა (17წ)	200
თბილისი	საქ. პირადი პირველობა	200
	სულ	600

ფეხბურთი (გოგონები)		
ჩატარების ადგილი		ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
ღონისძიების დასახელება		
მიმოსვლით	საქ. პირველობა	300
ქობულეთი	საქ. პირველობა	600
სულ		900

ფეხბურთი (ბიჭები)		
ჩატარების ადგილი კალენდრის მიხედვით	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
	რეგ პირველობა 1996	700
	რეგ პირველობა 1997	800
	რეგ პირველობა 1998	800
	რეგ პირველობა 1999	721
	რეგ პირველობა 2000	600
	სულ	3621

ბერძნულ რომაული ჭიდაობა		
ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოსაყოფი ასიგნებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის
რუსთავი	ყაზარაშვილის სახ. ტურნირი (ჭაბუკები)	130
თბილისი	მაისურაძის სახ. ტურნირი (ჭაბუკები)	150
თბილისი	საქ. პირველობა (ჭაბუკები)	120
	სულ	400

სხვა დანარჩენი ადგილობრივი ტურნირები

სპორტის სახეობა	ღონისძიებების ჩატარების დრო და ადგილი	ტურნირის დასახელება	ღონისძიების ხარჯი
ძიუდო	აპრილი – ქ. ხაშური	რ. ხარშილაძის სახ. ტურნირი	300
ქართული ჭიდაობა	აგვისტო – ვაყა	გ ბარათაშვილის სახ. ტურნირი	400
ქართული ჭიდაობა	ფლევი	რ. ხარშილაძის სახელობის ტურნირი	150
ქართული ჭიდაობა	ვაყა	დ. მეტრეველის სახელობის ტურნირი	150
ქართული ჭიდაობა	ალი	ზ. ნოზაძის სახ. ტურნირი	150
ქართული ჭიდაობა	ხაშური ზემო სერი	ნ. ბუხრიკიძის სახ. ტურნირი	150
ქართული ჭიდაობა	სოფ. ქინძათი	ი. ნოზაძის სახ. ტურნირი	150
თავისუფალი ჭიდაობა	ხაშური	ვ. კვინიკაძის სახ. ტურნირი	400
ბერძ. რომაული ჭიდაობა	ხაშურის	რეგიონის პირველობა	200
კალათბურთი	ხაშური	მ. ჩიტაშვილის სახ. ტურნირი	200
ფეხბურთი	ხასური	სკოლების პირველობა	200
კალათბურთი	ხაშური	სკოლების პირველობა	200
ფეხბურთი კალათბურთი ქართული ჭიდაობა	ხაშური	26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი	300
ჭადრაკი	ხაშური	რეგიონის პირველობა	100
პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები			3000
სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების ჩატარება და ორგანიზება			4724
სულ			10774

სპორტული წრეების ფუნქციონირებისათვის და სპორტული ღონისძიებების ჩატარებისათვის საჭირო ინვენტარი

სპორტის სახეობა	ინვენტარის დასახელება	რაოდენობა	საცალო ფასი (ლარი)	გამოსაყოფი თანხა
თავისუფალი ჭიდაობა	მედალი	52	6	312
ძიულო	მედალი	48	6	288
ქართული ჭიდაობა	მედალი	36	6	216
ბერძნულ რომაული ჭიდაობა	მედალი	48	6	288
ძალოსნობა	სასწორი	1	200	200
ფეხბურთი	ბურთი	10	35	350
ძალოსნობა	სარკე	1	100	100
ქართული ჭიდაობა	ჩოხები	10	25	250
ყველა სახეობის	სპორტულები	20	50	1000
ჭადრაკი	დაფა ფიგურებით	5	25	125
			სულ	3129

სპორტის სფეროში განსაკუთრებული მიღწევებისათვის გამოჩენილ სპორტსმენტა წახალისების დაჯილდოების ღონისძიებები – 1200 ლარი

სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა 2011 წელში

სპორტული ღონისძიებები ჩატარდება სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.)

1 პროგრამის მიზანი

სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება

2 პროგრამის ძირითადი ღონისძიებები

- მასობრივი სპორტული ღონისძიებებში პირველობებსა და ჩემპიონატებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის მიღება.
- მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება.
- რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენთა მივლინება.
- სასწავლო საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა.
- სპორტსმენთა წახალისება (დახმარება).
- სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა.

3 პროგრამის ხანგრძლივობა.

პროგრამის მოქმედების ვადაა 2011 წლის 1 იანვრიდან --- 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4 პროგრამის ბიუჯეტი.

განისაზღვროს სპორტულ ღონისძიებათა პროგრამების 2010 წლის ასიგნებები 33 700 ლარით.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	თანხის ოდენობა
22	დანარჩენი საქონელი და მომსახურება	33 700

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი.

- სპორტული გუნდებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ჩაბმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.
 - სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატება.
 - ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
 - სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაცია.
- პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოვლენა.
- პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას, ახალგაზრდა თაობის სწორ და ჯანსაღ განვითარებას, სპორტის ეროვნულ და ოლიმპიურ სახეობათა პოპულარიზაციასა და პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენას.

კულტურის სფეროში განსახორციელებელი პროგრამები

პროგრამის მიზანი:

სახელმწიფო, რელიგიური და სახალხო დღესასწაულების აღნიშვნა.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

- 3 მარტს – დედის დღის, 9 აპრილს – ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღის, 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 1 ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, 23 ნოემბერს – გიორგობის დღესასწაულის, ახალი წლის და სხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავი ღონისძიებები.
- სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზება.
- ფართო მასებისა და შემოქმედებითი ახალგაზრდობის ჩართვა ღონისძიებებში.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დადებითი განწყობის შექმნა დღესასწაულების მიმართ.
- უცხო ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაცია და მათი წარმომადგენლების ინტერესის ზრდა ქართული კულტურის მიმართ.
- ქართული კულტურისა და მართმადიდებელი ტრადიციების გაღრმავება.

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ვადაა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის ბიუჯეტი:

განისაზღვროს კულტურის პროგრამების 2010 წლის ასიგნებები 47 000 ლარით.

№	კულტურულ ღონისძიებათა დასახელება	თანხა (ლარი)
1	<p>3 მარტს, დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხაშურის სამშობიარო სახლში 3 მარტს დაბადებული ახალშობილებისათვის ამანათების გადაცემა - მშობიარე დედებისათვის ყვავილებისა და საჩუქრების გადაცემა - სამშობიარო სახლში მომუშავე ქალთა პერსონალისათვის ყვავილების გადაცემა 	<p>140</p> <p>270</p> <p>75</p>
2	საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის მიერ დაფუძნებულ პროექტში „გზა პარნასისკენ“ მონაწილეობა	700
3	9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა	35
4	ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის ფესტივალ „მომავლის ვარსკვლავებში“ მონაწილეობა	400
5	ლიტვაში ქ. რადვილისკში ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციის სტუმრობა დაძმობილების მემორანდუმის გაფორმებასთან დაკავშირებით და ქართული ეროვნული საჩუქრების შექმნა.	290
6	<p>9 მაისის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 66 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები</p> <ul style="list-style-type: none"> - დაღუპულთა მემორიალის გვირგვინებით შემკობა - ვეტერანებისათვის საზეიმო სადამოს მოწყობა. - დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები 	<p>150</p> <p>1000</p>
7	უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას 140 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯები	500
8	ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალში „იპოვე შენი ვარსკვლავი“ მონაწილეობა	400
9	ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება	700
10	ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	1000
11	ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა	590
12	დიმიტრი ყიფიანის დაბადებიდან 200 წლისათვის მიძღვნილი დღესასწაულის „ყიფიანობის“ ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები	2000

13	ფესტივალის ხაშური – „ოქროს შემოდგომა 2011წელი“ და ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულის “ლესიაობის” ჩატარება–ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები	20000
14	განათლების სფეროს მუშაკთა და მოსწავლეთა რეგიონალურ ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა	800
15	ფერადი ალბომის „შიდა ქართლი“-ს შექმნა	1000
16	საჯარო სკოლებს შორის შემოქმედებით-ინტელექტუალური კონკურსის „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ გამარჯვებულთათვის საჩუქრების შექმნა	500
17	„ნორჩ მეცნიერთა და გამოგონებელთა“ ოლიმპიადაში გამარჯვებულთათვის საჩუქრის შექმნა	30
18	პოლონეთში, ტარნუვის მუნიციპალიტეტში პარტნიორული ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებით და „ტარნუვის მუნიციპალიტეტის მოსავლის დღესასწაულზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის ინტელიგენციის მონაწილეობა	594
19	27 სექტემბერს, აფხაზეთის დაცემასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალის შემკობა გვირგვინით	100
20	„შიდა ქართლის დღეების“ აღნიშვნის ღონისძიებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმოდგენის ხელშეწყობა და ორგანიზება	5000
21	ადგილობრივი, რეგიონალური და რესპუბლიკური დონის სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება	1226
	ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველყოფა (გრანდიოზული შოუ-კონცერტი ღია ცისქვეშ)	9 500
	<i>სულ ჯამი:</i>	<i>47 000 ლარი</i>

ახალგაზრდულ ღონისძიებათა პროგრამა

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდულ ღონისძიებათა ორგანიზება.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

- არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. (ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, ფორუმების მოწყობა ახალგაზრდებისათვის აქტუალურ თემებზე).
- სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დახმარება და ხელშეწყობა განათლების მიღებაში.
- ხელშეწყობა საერთაშორისო ურთიერთობის გასაღრმავებლად.
- ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.
- ახალგაზრდების ნიჭის თვითრეალიზების ხელშეწყობა.
- ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერა.
- ახალგაზრდა თაობაში შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა.

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ვადაა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის ბიუჯეტი:

განისაზღვროს ახალგაზრდული პროგრამების 2011 წლის ასიგნებები 12 000 ლარით.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ღონისძიებათა დასახელება	გამოსაყოფი თანხა
	საპრეზიდენტო ნაციონალური პროგრამა „პატრიოტის“ განხორციელების უზრუნველყოფის ღონისძიებები	2500
	ინტელექტუალური პროგრამების (შესანიშნავი „შიდეული“, „ბარიერი“, „საპოვნელა“) ხელშეწყობა და მხარდაჭერა	2500
	პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები	1000
	ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მათსურების წარწერით „ხაშური საქართველოს შუაგულია“ შექმნა	4500
	ადგილობრივი, რეგიონალური და რესპუბლიკური დონის სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები	1500
	სულ	12 000

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- განხორციელებული პროექტები.
- ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარება.
- ახალგაზრდა თაობაში შრომის უნარ-ჩვევების გამომუშავება და მათი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა.